ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისა და საერთაშორისო ჟურნალებში
სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების დაფინანსების წესი

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი სრულად ან ნაწილობრივ აფინანსებს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების მონაწილეობას საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში და საერთაშორისო ჟურნალებში მათი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნებას.

2. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილების დაფინანსების მიღების უფლება აქვს სადოქტორო პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტს (პროგრამის მეორე წლიდან), ასისტენტ პროფესორს, ასოცირებულ პროფესორს და პროფესორს (შემდგომში - "დაფინანსების მიღების მსურველი").

2.1. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა უნდა ითვალისწინებდეს დაფინანსების მიღების მსურველის მიერ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით ზეპირი მოხსენების წარდგენას ორიგინალური კვლევის შესახებ, (პლენარული) სესიების თავმჯდომარეობას/ფასილიტაციას ან კონფერენციის ორგანიზატორი სამეცნიერო საბჭოს წევრობას, დოქტორანტის შემთხვევაში კი, ასევე პოსტერის პრეზენტაციას..

2.2. დაფინანსების მიღების მსურველმა უნივერსიტეტში უნდა წარადგინოს კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსების განაცხადის შევსებული ფორმა (დანართი#1)
განაცხადს თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:
ა)მოწვევის დადასტურება, სადაც მითითებულია დაფინანსების მიღების მსურველის როლი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში;
ბ)დოქტორანტების შემთხვევაში - ცნობა ფაკულტედან/სკოლიდან სადისერტაციო ნაშრომის გეგმის (პროსპექტუსის)დაცვის შესახებ.

2.3 დაფინანსების მოპოვების ძირითადი კრიტერიუმია საერთაშორისო პუბლიკაციები ბოლო ორი წლის განმავლობაში. კერძოდ, დაფინანსების მიღების მსურველს გამოქვეყნებული (ან ჟურნალის რედაქციისგან მიღებული გამოსაქვეყნებლად) უნდა ჰქონდეს სამეცნიერო პუბლიკაცია უცხოურ ან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოცემულ საერთაშორისო რეცენზირებულ თემატურ ჟურნალში/ჟურნალებში, რომლებიც აღიარებულ საერთაშორისო ნუსხებშია შესული (Clarivate Analytics Master Journal List, Scopus, Ulrich's Index, ERIH PLUS, EBSCOHost, Latindex Catalogue). საბუნებისმეტყველო, ზუსტი, საინჟინრო და მედიცინის მიმართულებით - Clarivate Analytics-ის ბაზაში შემავალ 0.5-ზე მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში ან Scopus-ის ნუსხაში შემავალ 0.5-ზე მაღალი ციტირების ქულის (CiteScore) მქონე ჟურნალში. სამეცნიერო პუბლიკაციებში მითითებული უნდა იყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელი.

2.4 აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საჭიროებიდან გამომდინარე, საერთაშორისო კონფერენციაზე მონაწილეობა შეიძლება ასევე დაფინანსდეს იმ შემთხვევაშიც, თუ დაფინანსების მიღების მსურველს განაცხადის წარდგენის დროისთვის არ გააჩნია 2.3 პუნქტში განსაზღვრული საერთაშორისი პუბლიკაცია. აღნიშნულ შემთხვევაში, კონფერენციაში მონაწილეობა უნდა ითვალისწინებდეს წარდგენილი მოხსენების გამოქვეყნების შესაძლებლობას 2.3 პუნქტში მითითებულ საერთაშორისო ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალში ან კონფერენციის მასალების კრებულში, რომელიც აღნიშნულ ბაზებშია ინდექსირებული.

2.5. 2.3 ან 2.4 პუნქტებში განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების გარდა დოქტორანტს დაცული უნდა ჰქონდეს სადისერტაციო ნაშრომის გეგმა (პროსპექტუსი).

2.6. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტის საერთაშორისო კონფერენციაზე მონაწილეობა უნდა დაფინანსდეს ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტიდან, ფაკულტეტს/სკოლას აქვს უფლება განსაზღვროს დაფინანსების განსხვავებული პირობები.

2.7 იმ შემთხვევაში თუკი კონფერენციაში მონაწილეობა ითვალისწინებს ამ წესის მეორე პუნქტით განსაზღვრული ერთზე მეტი პირის მიერ ერთ კონფერენციაზე ერთიდაიმავე ზეპირი მოხსენების წარდგენას, (პლენარული) სესიების თავმჯდომარეობას/ფასილიტაციას, დოქტორანტების შემთხვევაში კი, ერთიდაიმავე პოსტერის პრეზენტაციას, უნივერსიტეტის მიერ სრული ან ნაწილობრივი დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხა განაწილდება დაფინანსების მიღების ყველა მსურველზე.

2.8 პუნქტში 2.7 განსაზღვრულ შემთხვევაში, დაფინანსების მსურველმა ყველა პირმა ერთობლივად უნდა მიმართოს უნივერსიტეტს დაფინანსების მოთხოვნის მიზნით და წარადგინოს 2.2 პუნქტში მითითებული დოკუმენტაცია.

3. საერთაშორისო ჟურნალებში სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება შეიძლება დაუფინანსდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორს, ასოცირებულ პროფესორს, პროფესორს და სადოქტორო პროგრამის სტუდენტს (შემდგომში - ”დაფინანსების მიღების მსურველი”).

3.1 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი აფინანსებს ისეთ სამეცნიერო სტატიას, რომელიც მიღებულია გამოსაქვეყნებლად 2.3 პუნქტში მითითებულ საერთაშორისო ნუსხებში შემავალ რეფერირებად თემატურ ჟურნალში იმავე პუნქტში მითითებული მოთხოვნების გათვალისწინებით.

3.2 სტატიის გამოქვეყნების დაფინანსების მოპოვების მიზნით დაფინანსების მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს ჟურნალის სარედაქციო საბჭოს მიერ გამოგზავნილი დასტური/ოფიციალური წერილი სტატიის გამოქვეყნების შესახებ. ასევე უნდა დასტურდებოდეს, რომ გამოსაქვეყნებლად მიღებულ სტატიაში აფილიაციაში მითითებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელი.

4. თუკი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის/სტატიის გამოქვეყნების დაფინანსება უნდა მოხდეს უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან, დასკვნას დაფინანსების მიზანშეწონილობის შესახებ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. რექტორის თანხმობის საფუძველზე გადაწყვეტილება დაფინანსების ოდენობის შესახებ მიიღება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ და გამოიცემა ბრძანება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში აკადემიური პერსონალის და დოქტორანტების მონაწილეობის ან სტატიის გამოქვეყნების სრული ან ნაწილობრივი დაფინანსების შესახებ.

5. თუკი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის ან სტატიის გამოქვეყნების დაფინანსება უნდა განხორციელდეს ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტიდან, დასკვნას დაფინანსების მიზანშეწონილობის შესახებ ფაკულტეტის/სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარუდგენს ფაკულტეტის/სკოლის დეკანს. რექტორის თანხმობის საფუძველზე გადაწყვეტილება დაფინანსების ოდენობის შესახებ მიიღება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ და გამოიცემა ბრძანება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში აკადემიური პერსონალის და დოქტორანტების მონაწილეობის ან სტატიის გამოქვეყნების სრული ან ნაწილობრივი დაფინანსების შესახებ.

6. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის/სტატიის გამოქვეყნების დაფინანსების მიღების მსურველს გადაწყვეტილება დაფინანსების შესახებ უნდა ეცნობოს ამ წესის მე-4 პუნქტით განსაზღვრული მასალების წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში.

7. დაფინანსების მოპოვების შემთხვევაში აკადემიურმა პერსონალმა და დოქტორანტმა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის ფინანსური ანგარიში უნდა წარადგინოს უნივერსიტეტის აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურში, ხოლო პროგრამული ანგარიში - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში და ფაკულტეტის/სკოლის ადმინისტრაციაში.

8. აკადემიური პერსონალის და დოქტორანტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე მონაწილეობის/სტატიის გამოქვეყნების დაფინანსების შესახებ რექტორის უარი შეიძლება გასაჩივრდეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე.

9. აკადემიური პერსონალის და დოქტორანტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე მონაწილეობის/სტატიის გამოქვეყნების დაფინანსების შესახებ დეკანის უარი შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის საბჭოზე და შემდგომ უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე.

10. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე მონაწილეობის/სტატიის გამოქვეყნების დაფინანსების მიღების მსურველს, გასაჩივრების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება უნდა ეცნობოს გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

დანართი #1

კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსების განაცხადის ფორმა

გთხოვთ, კონფერენციაზე გასამგზავრებლად საუნივერსიტეტო დაფინანსების მოთხოვნისას გამოიყენოთ შემდეგი ფორმა და მიუთითოთ

1. კონფერენციის სახელი და მიზანი:

2. როდის და სად იმართება კონფერენცია:

3. თქვენი როლი ამ კონფერენციაზე, მოხსენების სათაური (მოწვევის ასლი თან დაურთეთ):

4. რამდენს ითხოვთ უნივერსიტეტისგან და რისთვის:

5. გყავთ თუ არა თანადამფინანსებელი (თანადამფინანსებლის არსებობის შემთხვევაში მიუთითეთ დაფინანსების მოცულობა):

6. თქვენ მიერ ბოლო ორი წლის მანძილზე გამოქვეყნებული სტატიები საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში (ძირითადი კრიტერიუმია დაფინანსების მისაღებად), მათ შორის, პირველი ავტორობა:

7. თქვენი სახელი, გვარი, სტატუსი უნივერსიტეტში